ცნობის ფურცელი

№ 2420 ოთხშაბათი, 25 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2420

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. **ტელეფონი № 372.**

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივი კნეინა **ანნა ნიკოლოოზის ასული მაჭუტაძისა შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

ივანე ალექსანდრეს ძის მაჭუტაძის

ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ოცდა ცხრა (29) თებერვლისათვის სოფელ ნიგოითში. (1—6—1)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ოთხშაბათს, 25 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმ. მუს. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ბოპროვა-პფეიფერ, ჩიჟოვა, ფედოროვა; ბ-ნი: ფიგნერი, ილიუშენკო, კამიონსკი, შმაკოვი, გავრილოვი.

ანონსი: 23 თებერვლის შტემპელიანი ბილეთი „ტრავიატა“-ზე გამოდგება. 26 თებ.—„ცარსკაია ნევესტა“; 27 თებ.—რომეო და ჯულიეტა“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო. (0—14)

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის შემოწმებული **თეთრი ბაღდადური** და **ყვითელი ფრანგული** ისყიდება ზომიერ ფასებში **ქუთაისში.**

(10—70—4) სავაჭრო სახლი **„ი. გოკიელოვის შვილები“.**

ქართული თეატრი.

ტელ. № 617.

ხუთშაბათს, 26 თებერ., 1904 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქმ. და 6 სურათად გ. სუნდუკიანცისა.

ერთი მესამედი შემოსავლისა მოხმარდება იმ თანხას, რომელიც გროვდება თავად-აზნაურთა მიერ დაჭრილ-დაავადმყოფებულ მეომართა ქსენონისათვის საომარ ველზე.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. ჩეჩევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ.-დან 12 მ.-დე, პარტერი 70 კ.-დან 4 მ.-დე, ამფითეატრი 70 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 40 კ.-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

„კახეთის“

მევენახეთა საზოგადოების გამგეობას

პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის 5 მარტს დანიშნულია წევრთა მეორე **საზოგადო კრება** თელავში. თანახმად § 40 საზოგადოების წესდებისა, ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრებას.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში; 1903/1904 სამოქმედო წლის ხარჯთაღრიცხვა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; საურთიერთო დახმარების ფონდის დაარსება; მოგების განაწილება; მართველთა წევრთა არჩევა. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ზ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ზ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—59)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123 (თვ.—0—28)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თებერვალი

პარიზი. ლუბე დაესწრო საპოლკო საზოგადოებათა კავშირის დღესასწაულს, რომელიც ყოველ წელიწადს იმართება. დღესასწაულის შემდეგ კომიტეტმა რუსეთის ელჩს გადასცა ადრესი პეტერბურგში გასაგზავნად. ადრესში შორეულ-აღმოსავლეთის საქმეების გამო გამოთქმულია სრული და გულწრფელი სიმპატია რუსეთისადმი. ამავე დროს კომიტეტმა თავისი აღტაცება და გრძნობანი გამოსთქვა იმათ მიმართ, რომელნიც ემზადებიან სამშობლოსთვის სასიკვდილოდ და ისურვა, რომ რუსეთის ჯარის-კაცთა და ზღვაოსანთა სიმამაცემ გამარჯვება მიანიჭოს რუსეთს.

ტიან-ძინი („რეიტ. სააგენტო“). რუსეთის რაზმმა დაიჭირა რკინის გზის სადგური სინმინტინი და ყველა დეპეშებს ცენზურას უშვრება.

ტოკიო („რეიტ. სააგენტო“). რუსეთმა აცნობა ჩინეთს, რომ იმან არ უნდა გაჰგზავნოს ჯარი ძინჯოუ-ჩაოანის იქით. ამის გამო ჩინეთის ჯარი უთუოდ იუნპინში დარჩება.

ლონდონი (რეიტ. სააგენტო“). „დეილი მეილ“-ს კორესპონდენტი ჩიფუდან ატყობინებს: „ეს არის ეხლა დავბრუნდი ცინამპოსა და პენიანიდან, სადაც დიდი სამზადისია იაპონიის ჯარისთვის, რომლის გადასხმასაც მოელიან. ქვეითა ჯარის დიდი რაზმი უკვე მოვიდა. უმთავრესი ჯარი და მთავარი შტაბი მომავალ კვირაში მოვლენ. გავიგე, რომ იაპონიის ჯარი არ გაილაშქრებს იმ დრომდე, ვიდრე პენიანში 100,000 ჯარის-კაცი არ მოიყრის თავს“.

სეული („რეიტ. სააგენტო“). დღეს ჩემულპოს საავადმყოფოდან იაპონიის წითელი ჯვრის გემზე გადასხეს იაპონიაში გასაგზავნად უკანასკნელი 22 დაჭრილი მეზღვაური რუსეთის კრეისერის „ვარიაგ“-იდან.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკის, გენერალ-ადიუტანტ ალექსეევის დეპეშა, 23 თებერვალს გამოგზავნილი მუკდენიდან მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე: „22 თებერვლის დეპეშის დასამატებლად უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ შუადღის 1 საათსა და 25 წუთზე მტრის 7 გემიდან 5 გემმა ქალაქს, ნავთსადგურს, მდინარის ნაპირებსა და სუვოროვისა და ლინევიჩის სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა. სროლა გაგრძელდა 2 საათსა და 15 წუთამდე; ამის შემდეგ მტრის ესკადრა სამხრეთისაკენ გაბრუნდა და 5 საათსა და 30 წუთზე მიიმალა. ბატარეიებსა და სიმაგრეებზე ზარალი არა გვაქვს; ქალაქში დაჭრილია ერთი მეზღვაური და მოკლულია 1 დედაკაცი. ეს არის ეხლა შემატყობინეს, დღეს, დილის 8 საათზე მტრის ესკადრა ხელ-მეორედ გამოჩნდა ვლადივოსტოკთანაო“.

ნამესტნიკის, გენერალ-ადიუტანტ ალექსეევის დეპეშა მუკდენიდან 23 თებერვალს მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე: „ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურის უფროსი მაუწყებს: „გუშინდელმა ზარბაზნების სროლამ ნავთ-სადგურს თვალ-საჩინო ზარალი არ მიაყენა. მტრის სროლას ჩვენმა ციხემ პასუხი არ გასცა. დღეს, შუადღისას მტრის ესკადრა უსურიის ყურეში შემოვიდა, მოუახლოვდა იმ ადგილს, საიდანაც გუშინ ზარბაზნებს გვესროდა და, ისევ უკან გაბრუნდა“. 22 და 23 თებერვლის დეპეშების დასამატებლად თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას ამ ცნობასაც მოვახსენებ“.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

24 თებერვალი

ვლადივოსტოკი. გუშინ, ზარბაზნების სროლის დროს, იაპონიის ზარბაზნების ყუმბარამ შეანგრია სახლი და დააზიანა მეზღვაურთა სადგომები. დღეს ხელმეორედ გამოჩნდა მტრის 7 გემი, რომელნიც შუადღეს უსურიის ყურესთან მოვიდნენ. გემებმა წრე გააკეთეს და ამის შემდეგ გამოვის კონცხისკენ გაბრუნდნენ.

სეული. რადგან იაპონიის მთავრობამ შესაფერი ღონისძიებანი მიიღო, ამიტომ იაპონურ ფულში 10 პროცენტით უფრო მეტს აძლევენ მკვიდრთ, ვიდრე რუსები.

ვაშინგტონი. ის ცნობა, ვითომ ამერიკის მეზღვაურები გენზანში გადასხულიყვნენ, აქ არა სჯერათ. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების მთავრობა ამისთანა ქცევას, უეჭველია, სასტიკად გაჰკიცხავდა.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თებერვალი

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). ლორდთა პალატა. სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ, პერსიმ, შეკითხვაზე სთქვა, ინგლისის ელჩმა პეკინში მოითხოვა, რომ ტიან-ძინელ გაზეთის „ჩაინ ტაიმს“-ის გამომცემელი, რომელიც თავის გაზეთში რუსეთის წინააღმდეგ წერილებს ჰბეჭდავდა, ტიან-ძინში ინგლისის საკონსულოს სასამართლოში მიეცითო. მთავრობამ ინგლისის ელჩის ქცევა მოიწონა.

ვენა. ჩეხების საპარლამენტო კლუბმა დაადგინა, გამოვუცხადოთ რუსეთს განრისხებულ მტერთან ეხლანდელს ომში სრული თანაგრძნობა რუსეთის იარაღისადმი და გამარჯვება რუსეთისა და მთელ სლავიანთა სასახელოდ.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). ლორდთა პალატა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, მთავრობის გადაწყვეტილებაა ჯარში შემოიღოს სამინდვრო მძიმე ზარბაზნები, რომელნიც, უეჭველია, უფრო კარგია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოების საუკეთესო ზარბაზნები (მოწონება). მინისტრს იმედი აქვს, მომავალ წლის განმავლობაში შეიძენენ 108 მძიმე და 18 მსუბუქ სამინდვრო ზარბაზანსო, რომელნიც ინდოეთში უნდა გაიგზავნონ. ინდოეთი ერთად ერთი ადგილია, სადაც შესაძლებელია ევროპის დიდ სახელმწიფოს ჯართან ბრძოლა მოგვიხდესო. ამის გარდა მთავრობა ამზადებს ახალ იარაღს, რომლის დიდი ნაწილი ინდოეთისათვის არის დანიშნული.

ბლაგოვეშჩენსკი. ადგილობრივმა მთავრობამ საჭირო ზომები მიიღო, რათა პირველ საჭიროების საგნებზე ფასები არ მოუმატონ, და ეხლავე ზრუნავს მომავლისთვის სურსათიც მოამზადოს. ამისთვის განსაკუთრებული კომისია დაარსდა.—ქალაქში დარჩენილს იაპონელებს ამ დღეებში სრეტენსკში გაჰგზავნიან.—აფიცრების ცოლებმა შეადგინეს კომიტეტი ჯარის კაცებისთვის საჭირო საცვალის დასამზადებლად. აქაურმა ვაჭრებმა შესწირეს დიდი ფული მიტკლის სასყიდლად.

ნიუ-იორკი („რეიტ. სააგ.“). ტოკიოდან მოსულ დეპეშის თანახმად ჰგონიათ, ეხლა რუსეთის ვლადივოსტოკის ესკადრა იმყოფება ტუმენის მახლობლად და იცავს რუსეთის ჯარს პოსიეტის ნავთსადგურიდან მდინარე ტუმენამდე. იუწყებიან, რუსეთის მზვერავმა რაზმებმა სამხრეთისაკენ ნიანსიომდე მიიწიეს. კორეის ჩრდილოეთ აღმოსავლეთისკენ რუსების წასვლა წინად მხოლოდ სამხედრო ხერხი ეგონათ, ეხლა კი სჩანს, რომ ამ მოძრაობაში რუსეთის დიდი ჯარი იღებს მონაწილეობას. ჰფიქრობენ, რუსებს უნდათ ტიუმენთან ადგილი დაიჭირონ და იქ გამაგრდნენ.

ტიან-ძინი („რეიტ. სააგ“). ის ცნობა, ვითომ რუსებმა სინმინტინის რკინის გზა და ტელეგრაფის კანტორა დაიჭირესო, სიმართლეს მოკლებულია.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

24 თებერვალი

ლონდონი. ჩიფუდან დეპეშით იტყობინებიან, 26 თებერვალს იაპონელები იალუსთან მივლენ. იალუს მარჯვენა ნაპირი ძლიერ გამაგრებულია და იქვე რუსეთის დიდი ჯარიცა სდგას.—2000 რუსმა 7 ზარბაზნით კასსანი და სიონ-ჩიონი გაიარა და იჯუსკენ

მიდისო —ფხიენიანიდან ჩრდილოეთისკენ ტელეგრაფი გაფუჭებულია.— კობედან დეპეშით იუწყებიან, იაპონიის იმპერატორის უფროსი შვილი და პრინცი არისუგავა მებრძოლ ჯარის მთავარ ბანაკში მიდიან ომში მონაწილეობის მისაღებად.

ტოკიოდან იტყობინებიან, იაპონიის ესკადრამ დაიჭირა ელიოტის კუნძულების ერთი კუნძული ხაიანდაო. რუსები კორეიის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ—სიონ-ჩიოსკენ მიდიან. ვლადივოსტოკის ესკადრა ამ ჯარისა და ვლადივოსტოკს შორის მისვლა-მოსვლას იცავს.

გრაფ პერსის შეეკითხნენ გაზეთ „ტიანძინ ტაიმს“-ის გამომცემლის განდევნის შესახებ; პერსიმ სთქვა, ეს ზომა მიიღო ინგლისის ელჩმა, რომელმაც იმისი გაძევნა საჭიროდ სცნო რუსეთის წინააღმდეგ წერილების ბეჭდვისთვისაო. მთავრობამ ელჩის ქცევა მოიწონა.

სეული. ხუთშაბათს იაპონელები დაიწყებენ ფხიენიანისკენ რკინის გზის შენებას, რომელსაც, იმედი აქვთ, ენკენისთვეში გაათავებენ.

პარიზი. სამუნიციპალო საბჭომ ერთხმად დაადგინა, პეტერბურგში ადრესი გავუგზავნოთ და ჩვენი ძმური გრძნობები და კეთილი სურვილი განვუცხადოთო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. დეპეშიდან ვიცით, რომ 22 თებერვალს იაპონიის ესკადრამ ვლადივოსტოკს ყუმბარები დაუშინა. ინგლისური გაზ. „დეილი მეილ“-ი ჯერ კიდევ ათის დღის წინად იუწყებოდა: იაპონიის ფლოტი 19 თებერვლიდან ალყას შემოარტყამს ვლადივოსტოკსაო („რ. ი.“).

„ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: 11 თებერვალს იაპონიის ფლოტი —1 ჯავშნიანი გემი, 4 კრეისერი, 11 ნაღმიანი გემი და 5 სავაჭრო გემი—შუაღამისას პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალს მიუახლოვდა. აქ სავაჭრო გემები ესკადრას მოჰშორდნენ. ესკადრის უფროსმა სამხედრო სალამი მისცა, გზა დაულოცა და სამხედრო სიგნალით უთხრათ: „გახსოვდეთ, რომ თავი უნდა დასდოთ სამშობლოსათვისაო“. რაც შემდეგში მოხდა, ის ხომ ვიცით კიდევაც.

„ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: 12 თებერვალს ბრძოლის დროს იაპონელებმა პორტ-არტურში საზღვაო კომისარიატის საწყობი დააზიანეს, პირველი ქვა-ნახშირის საწყობი და ახალ ნავთ-სადგურშიაც შლიუზებიო.

„ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: 12 თებერვალს, იაპონელების რამდენიმე ყუმბარა პორტ-არტურის აღმოსავლეთ სიმაგრეს დაეცა და საინტენდანტო საწყობი წაახდინაო. პორტ-არტურში ამ ჟამად ნორვეგიელების ორი სავაჭრო გემი დგას, ერთიც ინგლისელებისა. ეს გემები ველარ გამოსულან პორტ-არტურიდანაო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება: რუსები ნიუ-ჩუანში სიმაგრეებს არ აშენებენ, მხოლოდ მდინარე ლიაოხეს შესართავში ნაღმებს აწყობენო.

გაზეთები იუწყებიან: იაპონიის გემებმა კორდიფში (ინგლისში) დიდ-ძალი ქვა-ნახშირი დაუდეს, მაგრამ ზღვაში ვერ გასულან: ეშინიათ, ვაი თუ სუეცის არხში რუსის კრეისერები დაგვიხვდნენო.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მთავრობამ უცხოელ კორესპონდენტებს ბრძოლის ველზე წასვლის ნება მისცა. ეს ნებართვა მიიღეს: 21 ინგლისელმა კორესპონდენტმა, 15 ამერიკელმა, 5 ფრანგმა და 2 გერმანელმა.

ინგლისურ გაზეთებს შანჰაიდან ატყობინებენ: აქ თან-და-თან უფრო იმ აზრს ადგებიან, რომ მოკლე ხანში ჩინეთიც სამხედრო მოქმედებას შეუდგებაო. შანჰაიდან მუდამ ჯარსა და ფულსა ჰგზავნიან ჩრდილოეთ-ჩინეთისაკენ. ადგილობრივ არსენალებსა და თოფის წამლის საწყობებში გაძლიერებული მუშაობაა. („ნ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: პოლიციამ ქალაქში ჩინურსა და რუსულ ენაზე განცხადება გააკრა. პოლიცია სთხოვს ვლადივოსტოკში მცხოვრებ ჩინელებს, ან თქვენ თითონ წარმოადგინეთ, ან პოლიციის მოხელეებს უჩვენეთ იაპონელებიო. ამბობენ, იაპონელები ჩინელ მუშებში იმალებიან, ჩინური ტანისამოსი აცვიათ და ჩინელებივით ნაწნავები აქვთ გაკეთებულიო.

„ნოვ. ვრემია“ იუწყება: ეხლა ცხადად გამოჩნდა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის სანამესტნიკოში მცხოვრებ იაპონელ პარიკმახერებსა, მეწვრიმალეებსა და სხვა მოვაჭრეებში ბევრი აფიცერი ერია. ეს აფიცრები ყველაფერს ათვალიერებდნენ და იგებდნენ. იქნება ზოგი ამათგანი პორტ-არტურზე დაცემაშიაც ერია 26—27 იანვარს. რადგან ციმბირის რკინის გზას რუსის ჯარისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ბეჯითად უნდა ვადევნოთ თვალი ამ გზას და ყველა ხიდი და ტუნელი სასტიკად დავიცვათ. ეჭვი არაა, იაპონელებმა მრავალი დაწვრილებითი ცნობა შეჰკრიბეს ჩვენ ციხეებსა, ჯარსა და ყველაფერზე, რაც კი სამხედრო საქმეს შეეხება. იაპონელები მეტად მოხერხებული და ოსტატი ხალხია. 1900 წ. ომის დროს, სანტიმეტრით ზარბაზნის თვალის კვალს ჰზომავდნენ და ამით იგებდნენ, ვისმა ზარბაზანმა გაიარა, რუსისამ, გერმანელისამ, თუ ჩინელებისამ. ალბად ეხლაც ჯერ კარგად შეისწავლეს ყველაფერი და მერე ისე დაიწყეს ომიო.

იაპონიის სამხედრო პლანი. ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი სწერს: „ეჭვი არაა, რომ ამ ჟამად იაპონელებმა ზღვიდან ალყა შემოარტყეს პორტ-არტურს. ერთმა მცოდნე, სარწმუნო კაცმა მითხრა, იაპონელებს ამნაირი სამხედრო პლანი აქვთ შედგენილიო. პორტ-არტურს ალყა შემოარტყან, ხმელეთიდან და ზღვიდან იერიში მიიტანონ და პორტ-არტურის აღებას ეცადნენ. ამას გარდა იაპონელები კორეიაში გამაგრდებიან და მოიცდიან, სანამ რუსის ჯარი თითონ არ მივა კორეიაში. მანჯურიაში იაპონელები ჯერ-ჯერობით არ წავლენ. იაპონელები უსათუოდ ეცდებიან ამ პლანის ასრულებას. ვნახოთ, მოახერხებენ თუ ვერა“.

იაპონელი ჯარის-კაცი. ლაშქრობის დროს იაპონელი ჯარის-კაცები ევროპიულ ტყავის ფეხ-საცმელს თავს ანებებენ და თავიანთ ეროვნულ ბრინჯის ჩალის ფეხსაცმელს ხმარობენ. ფეხზე ჯერ მუქ ლურჯის ფერის ქაღალდის ქსოვილის წინდას იცმენ. წინდის ძირი უფრო მაგარის ქსოვილისაგანაა გაკეთებული. ქვეშ ბრინჯის ჩალისაგან გაკეთებულს ქალამანს იცმენ. ქალამანი ფეხზე ბრინჯის ჩალისაგანვე მომზადებულის თასმითაა გამაგრებული. ეს ფეხსაცმელი სუმბუქია და წყალში სიარულს არ უშლის. მართალია, ამნაირ ფეხსაცმელს მეტად ხშირად იცვლიან, მაგრამ ეს არც ხაზინას უმატებს ხარჯს, არც საინტენდანტოს, რადგან ყოველი ჯარის-კაცი თითონ იხსავს ამ ქალამნებს. უმთავრესად კი ეს ქალამანი იმითია კარგი, რომ ტალახში არა ფუჭდება. ნესტის დროს წინდის ძირს ეკვრის და წყლით არ ივსება.

იაპონელი ქვეითა ჯარის-კაცი ლაშქრობის დროს ბევრს სიარულს იტანს და მარდადაც დადის; სიცხესაც ადვილად იტანს. 1900 წ. ლაშქრობის დროს იაპონელები ამ მხრივ ყველა ევროპიელ ჯარის-კაცსა სჯობდნენ. არცთუ სიცივისა ეშინიანთ.

ლაშქრობის დროს იაპონელ ჯარის-კაცს რუსის ჯარის-კაცზე ნაკლები ბარგი მიაქვს ზედა. მარტო ის რადა ჰღირს, რომ მარქაფა (მეორე წყვილი) წაღები არა ჰკიდია ზურგზე. საჭმელიც ნაკლები დააქვს თანა. მარტო ჯერ მოხარშული და მერე მზეზე გამხმარი ბრინჯი ჰკიდია. ერთი ლიტრა ასეთი მოხარშული ბრინჯი იაპონელს ორს დღესა ჰყოფნის. საუზმისა, სადილისა და ვახშმის დროს იაპონელი ლიტრის მეექვსედ ბრინჯს სჯერდება. საზოგადოთ იაპონელებს შინაც ძლიერ უყვართ ბრინჯი. ხან-და-ხან ჯარის-კაცებს სიმინდის ფქვილის ხინკალსა და ბოსტნეულობასაც აჭმევენ. იაპონელები დიდის სიამოვნებით ჰსმენ ჩაის; წყალსაც მარტო ნადუღსა ჰხმარობენ. უდუღი წყალი ადვილად აჩენს გადამდებ სენს, ამიტომ იაპონელები ძლიერ ერიდებიან ამ წყალს და თუ არ ნადუღსა, არა ჰსმენ.

საკვებ სურსათის საქმეც მეტად კარგადა აქვთ მოწყობილი იაპონელებს. იქნება ევროპიელებზე უფრო კარგადაც ჰქონდეთ ეს საქმე დაწესებული. იაპონელებს თავი მოსწონთ, რომ სურსათის ზიდვის საქმე და სურსათის ქარავნები მეტად კარგადა გვაქვს მოწყობილიო. მართლაც და ეს ქარავნები მეტად უბრალოდა და მოხერხებულადაა მოწყობილი. სურსათის მზიდველ რაზმს ჯარისათვის თან მიაქვს სამის დღის სამყოფი ცერცვი, სიმინდის მჭადი, ბრინჯი, გამხმარი თევზი, ხორცი, კვერცხი და სხვ. თუ საჭიროება მოითხოვს, სურსათის ქარავანი აქეთ-იქით პატარ-პატარა ქარავნებსაც ჰგზავნის, მაგრამ ამ პატარა ქარავნებთან კავშირს კი არას დროს არა სწყვეტს.

როცა ჯარი საომრად მზადდება, თავ-და-პირველად მოძრავ პატარ-პატარა ხელით სატარებელ ურმებს ამზადებენ. ხსენებულ ქარავნებსაც ეს ურმები აწვდიან სურსათს.

იაპონიის ჯარს მრავალი ეგრედ წოდებული „სამხედრო მუშა“, ანუ ბარგის მზიდველი ჰყავს. ზოგი მუშა კენჭის ყრით მიჰყავთ, ზოგი კი თითონ მიდის სამშობლოს სიყვარულით. ამ მუშებში ჯანიან კაცებს არჩევენ და სამს კაცს თითო პატარა ხელის ურემს აძლევენ. ერთი მუშა საძირში (შუაში) ჩადგება, ორნი აქეთ-იქიდან მოუდგებიან და ურემს თავისუფლად მიაგორებენ. ამ ურმებს სხვა-და-სხვა სიმაღლისას აკეთებენ; ზოგს 4 ფუტი აქვს სიმაღლე, ზოგს 8; ღერძი კი ყველას რკინისა აქვს. მუშებს მეტად მარდად დააქვთ ბარგი („ნ. ვ.“).

ფრანგ აფიცრის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. „პეტერბურგსკი ვედომოსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი სწერს: ერთმა ფრანგმა აფიცერმა (მანჯურია და კორეია მშვენივრად აქვს შესწავლილი) მითხრა:

„თავის ფლოტისა და გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობის წყალობით, იაპონია ბრძოლის ველზე უფრო ჩქარა მოიყვანს ჯარს, ვიდრე რუსეთი, და მაგარ სტრატეგიულ ადგილებს დაიჭერს, მაგრამ თუ მოხერხებულის მოქმედებით რუსის ჯარი თავის დროზე ხელს შეუშლის იაპონიის ჯარს, თუ, რასაკვირველია, რუსეთს საკმაო ჯარი ჰყავს და ახალ ჯარის მოყვანის საქმე კარგად აქვს მოწყობილი, მაშინ რუსეთი უსათუოდ გაიმარჯვებს და ზაფხულის გასულს სამხედრო მოქმედებაც შესწყდება. მაგრამ თუ იაპონელები რუსის ჯარს დაასწრებენ, კორეიასა და მანჯურიაში გამაგრდებიან და ზღვაშიაც ყოველთვის ძლიერი ფლოტი ეყოლებათ, გინდა რუსებმა გაცილებით მეტი ჯარი ჩაიყვანონ, იაპონელების განდევნა მანჯურიიდანა და კორეიდან მეტად გასჭირდება. მაშინ შეეძლება ომმა მეტად დიდხანს გასტანოს. ჩინელებისა და კორეიელების მოქმედებასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ესენიც იაპონელებს მიუდგებიან, მაშინ რუსებს, რასაკვირველია, უფრო გაუჭირდებათ ბრძოლა. ამიტომ რუსეთის დიპლომატია ძლიერ უნდა ეცადოს პეკინში, რომ ჩინელებმა დახმარება არ გაუწიონ იაპონიის ჯარს („პ. ვ.“).

იაპონია-კორეის ხელ-შეკრულობა. იაპონიის ელჩს პარიზში მოტონოს უთქვამს „ფიგარო“-ს თანამშრომლისათვის:

„იაპონიის მთავრობამ მხოლოდ იმ აზრით შესწყვიტა რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკება, რომ კორეის დამოუკიდებლობა და ხელ-შეუხებლობა დაეცვა; იაპონიამ მხოლოდ კორეის პოლიტიკურ თვით-მყოფობის გულისათვის დაიწყო ომი; ჩვენი მთავრობა რომ ასე არ მოქცეულიყო, რუსეთი, უსა-

ფელეტონი

სესხის გაცემა სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ

(დასასრული*)

უფრო კარგი ნიადაგი შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათათვის ქუთაისის გუბერნიაში აღმოჩნდა, თუმცა აქ 24 ნებადართულ ამხანაგობისაგან გაუხსნიათ მხოლოდ ექვსი. ამათ იმ თავითვე მცოდნე და ენერგიული ხელმძღვანელები გაუჩნდნენ და აქამდე საქმე კარგად მიდის. თითეულ მათგანს შვიდასამდე წევრი ჰყავს, საწილო ფული ორთა შუა რიცხვით 20 ათას მანეთამდეა და წლიურად 230 ათას მანეთს აწარმოებს თითეული.

მას შემდეგ, რაც 1895 წლის 1 ივნისს საკრედიტო დაწესებულებათა დებულება გამოვიდა და ნორმალური წესდება დამტკიცდა, შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობათა გახსნა შესამჩნევად გაადვილდა. 1897 წლიდან ქუთაისის გუბერნიის ორ მაზრაში გაიხსნა 18 ახალი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. სულ ქუთაისის გუბერნიაში ეხლა 24 ახალი დაწესებულებაა.

ბევრი ასეთი ამხანაგობა, მაგალითად, დიდი-ჯიხაიშის, კუხის, ნახახულევის, ჰაკნის, სურების და სხვები, გარდა პირდაპირ თავის დანიშნულებისა, სავაჭრო შუამავლობასაც სწევს: ჰყიდულობს თავის წევრთათვის ოჯახში საჭირო საგნებს, აბრეშუმის თესლს, შაბიამანს, გოგირდს, ვერმორელის აპარატს, და იღებს გასასყიდათ სხვა-და-სხვა ნაწარმოებს, მეტ ნაწილად აბრეშუმის პარკს. აღნიშნულ დაწესებულებათა არსებობისა და მათი თაოსნობის წყალობით ბევრმა მეურნემ და სამეურნეო ამხანაგობამ აიღო სესხი სოფლის ნაწარმოების გირაოს ქვეშ. „სამხრეთ-რუსეთის ბანკის“ ბათუმის განყოფილება 1897 წლიდან 100 ათას მანეთზე მეტ სესხს აძლევს წლიურად კერძო პირებსა და ამხანობათ გაუმშრალი პარკის გირაოს ქვეშ. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ სესხის ამღები სამეურნეო ამხანაგობა ზარალობდა, მაგრამ ბანკი შემდეგ წელსაც იძლეოდა სესხს, თუ რომელიმე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა იქნებოდა თავდებად. ეგევე ითქმის სხვა ბანკების შესახებაც, მაგალითად, ბათუმისა და ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა შესახებ. ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ გასულ წელს ასესხა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას „კოლხიდა“-ს 75 ათასი მანეთი პარკისა და ბამბის გირაოს ქვეშ. ცნობილია, რომ სახელმწიფო ბანკი სხვა საკრედიტო დაწესებულებაზე უფრო ფრთხილად იქცევა, მაგრამ იგიც კი იძლევა სესხს ისეთ საგნების (მაგალითად, პარკი) გირაოს ქვეშ, რომელიც ჩვენ სამეურნეო ბანკს სასაცილოდ მიაჩნია. 1901 წელს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებამ მისცა ამხანაგობას 50 ათას მანეთის სესხი გამშრალ პარკის გირაოს ქვეშ, რომელიც ხსენებულ ბანკის საწყობში ინახებოდა; 1902 წელს განყოფილებას ნება მოუვიდა გასცეს სესხი გაუმშრალ პარკის გირაოს ქვეშაც, ეს პარკი გირაოს პატრონთან რჩება წარმოების ადგილას.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ჩვენი სამეურნეო ბანკი ჩამორჩა სხვებს ამ გვარ სესხის გაცემაში. ზემოხსენებულ დაწესებულებათ საკმაოდ განავითარეს ამ გვარი ოპერაციები: **თითოეული მათგანი წლიურად მეტ სესხს იძლევა სოფლის ნაწარმოების გირაოს ქვეშ, ვიდრე ტფილისის სამეურნეო ბანკს გაუცია დაარსებიდან დღევანდლამდე,** მიუხედავად იმისა, ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებათა პროგრამაში სრულიად არ შედის ამ გვარი ოპერაციები.

ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ მთავარი მიზეზი შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა საქმის ცუდათ წასვლისა იყო საწარმოო თანხის უქონლობა, ხალხის განუვითარებლობა და მოუმზადებლობა თვითმოქმედებისათვის, ხელმძღვანელების უვარგისობა და სხვა. ეხლა პირობები შეიცვალა: სოფელი უფრო განვითარებულია, თვითმოქმედებამ საკმაოდ იჩინა თავი, რაც ცხადათ სჩანს ისეთ კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსებიდან, როგორიც არიან სასოფლო-სამეურნეო და მომხმარებელი ამხანაგობანი; გაჩნდა ისეთი ინტელიგენცია, რომელსაც შეუძლია საკრედიტო დაწესებულებათა გაძღოლა. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და საწარმოო თანხა, რომ ბევრ ჩვენ სოფელში საკრედიტო ამხანაგობანი გაჩნდნენ. მართალია, პირველ ხანებში ამ ამხანაგობათ ნაკლი ექნებათ, მაგრამ რომელი საქმეა უნაკლო. ჩვენის აზრით, ყოველი კარგად დაწყებულ საქმეს სასურველი ნაყოფი მოჰყვება. ჩვენ შევჩერდით წვრილ კრედიტის ამ დარგზე იმიტომ, რომ იგი გამოცდილია ევროპის უფრო განათლებულ ქვეყნებში, და დარწმუნებული ვართ, რომ, თუ სასოფლო სამეურნეო კრედიტი სხვანაირად მოეწყო, სოფელს სარგებლობას ვერ მოუტანს.

ცენტრალური საკრედიტო დაწესებულება ხელმიუწვდომელია სოფლელისათვის—შორს არის, ქალაქში წასვლა ძნელია, მით უფრო, რომ დარწმუნებული არ არის, ნამდვილად მიიღებს სესხს თუ არა. ამიტომაც სოფლელი ისევ ძველ „გამოცდილ მეგობარს“—მევახშეს მიმართავს ხოლმე.

1895 წლის დებულების საკრედიტო და-

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2414.

თულოდ დაიჭერდა კორეას. კორეა-იაპონიის ეხლანდელი ხელ-შეკრულობა ახალს არას წარმოადგენს. იაპონია ყოველთვის ასეთსავე პოლიტიკას მისდევდა. ახალი ხელ-შეკრულობა სრულად ეთანხმება სიმონოსეკისა და ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობას. კორეის დამოუკიდებლობა—თითონ იაპონიის უშიშრობის გარანტიაა. კორეა რომ სხვა რომელიმე სახელმწიფომ ჩაიგდოს ხელში, ეს ჩვენი დაღუპვა იქმნება. იაპონიის ბედი და მომავალი კორეის თვით-მყოფობაზეა დამოკიდებული. ჩვენ არც კორეის დაპყრობა გვინდა, არც დამორჩილება, მაგრამ არც ის გვინდა, რომ რუსეთმა კორეა მანჯურიასავით ხელში ჩაიგდოს და თავის სამფლობელოდ გაიხადოს. უმთავრესი მიზეზი ომისა—კორეის დამოუკიდებლობა გახლავთ. კორეა-იაპონიის ახალი ხელ-შეკრულობის შინაარსი ცხადად ამტკიცებს ამ ჩემს აზრს.

— ამბობენ, ვითომ იაპონიას ამ ხელშეკრულობის ძალით კორეის დამორჩილება სწადიაო,—შეუნიშნავს „ფიგარო“-ს თანამშრომელს.

— ესეთი ბრალდება სრულობით არაფერზე არაა დაფუძნებული. ახალ ხელშეკრულობაში იაპონია ცხადად, მკაფიოდ აღიარებს კორეის დამოუკიდებლობასა და თვით-მყოფობას. კორეისა და იაპონიის ეხლანდელი ურთიერთობა არაფრით არ ჰგავს საფრანგეთ-ტუნისის ურთიერთობას. ახალ ხელშეკრულობაში გადაჭრით, გადაწყვეტითაა ნათქვამი, რომ კორეა სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანა უნდა იყოსო. ერთი ორჭოფი, ორაზროვანი სიტყვაც კი არ იპოვება ამ ხელშეკრულობაში. იაპონიას რომ კორეაში თავის პროტექტორატის დაწესება უნდოდეს, მაშინ უსათუოდ კორეის ადმინისტრაციის მაგივრად, თავის საკუთარ ადმინისტრაციას დააყენებდა, დიპლომატიურ კორპუსსაც მოსპობდა. სეულში კი, როგორც იცით, ადმინისტრაციაც და დიპლომატიური კორპუსიც ისევ წინანდებურად მოქმედებენ. ამას გარდა, ხელშეკრულობის მე-3 მუხლი ისეთ ნათელსა ჰყოფს მთელის ხელშეკრულობის შინაარსსა, რომ ახსნა და განმარტება სრულიად მეტია. იაპონიის მთავრობა მკაფიოდ აცხადებს, რომ იაპონია კორეის დამოუკიდებლობასა და სამფლობელოს ხელუხლებლობას უზრუნველ ჰყოფსო. ამას რაღა ახსნა და ჩიჩინი უნდა. რაიმე დამალულ და ორჭოფ აზრებსა და სურვილებზე ლაპარაკი განა კიდევლა შეიძლება?“ („პ. ვ.“).

დარდანელის სრუტე. ამბობენ, იქნება რუსის ფლოტი შავის ზღვიდან გავიდეს და შორეულ-აღმოსავლეთში მებრძოლ ფლოტის საშველად წავიდესო. თუ ოსმალეთმა ნება არ მისცა დარდანელზე გავლისა, რუსის ფლოტი ძალით გავაო. უცხოეთის გაზეთები სწერენ: „უკანასკნელ ათს წელიწადში დარდანელის ნაპირებზე ისეთი ძლიერი სიმაგრეებიააშენეს და იქ ისეთი კარგი იარაღი დააწყეს გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით, რომ რუსეთის ფლოტი დარდანელში ძალით გასვლას ვერ მოახერხებსო, მით უმეტეს რომ ბოსფორსა და დარდანელში ოსმალეთმა ნაღმები ჩააწყო და ნაღმიანი გემებიც გაიჩინაო. ამას გარდა, ინგლისი ძალას მოიხმარს და რუსეთს დარდანელის სრუტის თაობაზე დადებულ პირობას არ დაარღვევინებსო“. („ნ.“).

ინგლისის სამხედრო მზადება. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ: ინგლისი დიდ ოკეანეში კუნძულ ვანკუვერზე ნავთსადგურ ესკიმოს გამაგრებას შეუდგაო. ეს ადგილი ინგლისის ფლოტის უმთავრესი სადგურია დიდ ოკეანეში. იქაურ ესკადრასაც ძლიერ გააძლიერებენ. წარსულ ორშაბათს 400 ჯარის-კაცი გაჰგზავნეს გონგკონგსა და სინგაპურში იქაურ მეციხოვნე ჯარების გასაძლიერებლად. ამავე დროს ინგლისის მთავრობა კუნძულ მალტაზეც 2 ათას კაცსა ჰგზავნის ჯარის გასაძლიერებლად („რ. ვ.“).

ოსმალეთი და რუსეთ-იაპონიის ომი. ბოლგარულ გაზ. „დნევნიკ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე ოსმალები აშკარად თანაუგრძნობენ იაპონელებს და რუსებს სიძულილს უცხადებენო. კორესპონდენტი სწერს: „რამწამს რუსეთ-იაპონიის ომი გამოცხადდა, ოსმალები სიხარულისაგან ცას მოეწივნენ და მას აქეთ ბოლგარიასა და ბოლგარებს აღარაფრად აღარ აგდებენ. ოსმალები ამბობენ: „ჩვენ გვინდა, რომ იაპონიამ გაიმარჯვოს. მაშინ რუსეთი დაემხობა, ჩვენ თავისუფლად ვიცხოვრებთ და რასაც გვინდა, იმასა ვიქმთ; მაშინ ჩვენში რეფორმატორებს ვეღარავინ ვერ გამოჰგზავნის. ჩვენ ყოველ დღე ვევედრებით ალაჰს, რომ იაპონიას გაამარჯვებინოს. მაგრამ თუ რუსეთი გაიმარჯვებს, მაშინ მანჯურიასაც დაიჭერს, ჩინეთსაც და ვაი ჩვენი ბრალი!“

ოსმალეთის ქალაქებში საზღვარზე გაზეთებს რუსეთის გამარჯვებაზე ცნობების ბეჭდვა აუკრძალეს. სტამბოლის სასტიკ ცენზურის გარდა, სერესსა, მელნიკსა და ჯუმაიაშიაც საგანგებო ცენზურის კომიტეტები დააარსეს. ეს კომიტეტები ხელ-მეორედ ჰსინჯავენ გაზეთებს და რაც კი რუსეთის გამარჯვებას მოასწავებს, ყველაფერსა ჰშლიან“. („პ. ვ.“)

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი** მომავალ კვირას კიდევ მიდის თურმე მოსკოვს თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზე დასასწრებლად. როგორც ვუწყით, ეს კრება შორეულ-აღმოსავლეთის ომმა გამოიწვია.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო იმის გამორკვევა, თუ როგორ უნდა მიეწყოს **სესხის გაცემა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების** გირაოთი. კომისიის თავჯდომარედ იყო უგანათ. თავ. გრუზინსკი. კომისიამ მიიწვია მცოდნე კაცები და განიხილა ორი მოხსენება ქ. ი. მამაცაშვილისა და ბ-ნ ქუთათელაძისა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კომისიამ შესაძლებლად ვერა სცნო ხსენებულ სესხის მოწყობა.

◆ ამიერ-კავკასიის **საპოლიციო დარაჯთა შესანახად** წელს გადადებულია 2,361,460 მანეთი.

◆ იმ კომისიას, რომელსაც **ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის** გამოსყიდვა აქვს მინდობილი, ჯერ-ჯერობით საზარალოდ უცვნია ამ ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა.

◆ როგორც „კავ.“-ს განჯიდან ატყობინებენ, 23 თებერვალს საპოლიციო დარაჯს **მოუკლავს** კატორგიდან გამოქცეული მაშადი-მაღარ-ჰუსეინ-ოღლი.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ამიერ კავკასიაში გამართოს **ფორთოხლის სანერგე**. ამ საქმის გამოკვლევა და მოხსენების წარდგენა სამინისტროში დაევალა აგრონომს ტიმოფეევს.

◆ ამას წინად ვწერდით: „ქ. ფოთში ახალ სობოროს აგებას შეუამდგომლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. გეგმა ამ სობოროსი ეპისკოპოსს ამ დღეებში უკვე მოსვლია პეტერბურგიდან ფოთის ქალაქის თავის ბ-ნ ნიკოლაძისაგან“. აი, რას გვატყობინებენ ეხლა ფოთში ახალ სობოროს აგების შესახებ. თანახმად საბჭოს დადგენილებისა 17 მაისს 1888 წ. აღძრულ იქმნა შუამდგომლობა, რათა მთელ იმპერიაში გაიმართოს ხელის მოწერა **ფოთში სობოროს ასაშენებლად**. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა. მას აქეთ არსებობს ფოთში ცალკე კომიტეტი და ყოველს საქმეს, რაც სობოროს აშენებას შეეხება, თვით განაგებს. მისივე მოვალეობაა შეიძინოს გეგმა და შეადგინოს საჭირო სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. ყოველივე ეს ამ ჟამად კომიტეტს დამზადებული აქვს და ამ მოკლე ხანში წარუდგენს გუბერნატორს დასამტკიცებლად.

◆ **ბაქო**. რკინის გზის დეპოსთან არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელსაც განაგებენ დელეგატნი—სამი კაცი. რამდენიმე წელიწადია, რაც ამ სამკითხველოს ქართული ჟურნალ-გაზეთები მოსდიოდა: „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და „ჯეჯილი“ და მკითხველებიც ჰყავდა. წლეულს ერთიც არ გვაღირსეს და ვერც მიზეზი გავიგეთ. წევრები თითქმის ნახევარი ქართველები არიან და არ ვიცით სწორედ, რატომ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ გამოიწერეს. წიგნებითაც ღარიბია სამკითხველო; სულ რაღაც 40 წიგნია და ისიც ძველი.

◆ კავკავის ოლქის სოფელ დურ-დურის მცხოვრებთ, 92 კაცს, პოლიციის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ. **როგორც „კაზბეკ“-ი გადმოგვცემს**, ამ დღეებში ეს საქმე, მინისტრის განკარგულებით, ხალხის დაუსწრებლად გაარჩიეს და დადგენილებაც ხალხის დაუსწრებლად გამოაცხადეს.

◆ **ზემო ავჭალის საკვირაო სკოლაში**, რომელიც ამ თვის 15 გაიხსნა, 18 კაცი ჩაწერილა სასწავლებლად. სკოლის მზრუნველობა და სკოლის ყველა ხარჯები უკისრნია ქ-ნ ო. ი. მირზოევისას.

◆ ტფილისის **მოქალაქეთა მამასახლისის** თანამდებობაზე, რადგან ბუდღანოვმა თავი დაანება, ასახელებენ დანდუროვს, ადამიძეს და ტარიელოვს.

◆ პოლიციის მეორე ნაწილში **მეპურეებმა** თავიანთ მუშტრებს გამოუცხადეს, რადგან ფქვილის ფასმა საგრძნობლად აიწია, წინანდელ ფასად პურს ვეღარ დაგითმობთ; ფუთ პურზე 20 კაპ. უნდა მოგვიმატოთო. კარგი იქმნება, ქალაქის საბჭოს კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ნიხრის გაწესება, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მართლა გაიგოს, ფქვილის ფასმა აწია თუ არა.

◆ გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის თავმჯდომარის **მელნიკოვისა**, რომელსაც ქ-ნი ჩხარტიშვილი სიტყვიერად შეურაცხყოფას უჩიოდა. მელნიკოვს იცავდა კერძო ვექილი პავლე ჩხეიძე, ხოლო ჩხარტიშვილისას—ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი გრიგოლ მახარაძე. სასამართლომ ბ-ნს მელნიკოვს 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ როგორც ტფილისის საგუბერნიო საპატიმროების უფროსის ანგარიშიდან სჩანს, ტფილისის საგუბერნიო საპატიმროში 23 თებერვლისათვის პოლიტიკურ და სხვა დანაშაულობისათვის დაპატიმრებული იყო კაცი, ქალი და ბავშვი, სულ 502 სული, ხოლო მეტეხის საპყრობილეში—460 სული.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, სასწავლებელთა გამგე-კომისიის მოხსენების თანახმად დაადგინა, გადაიდოს 2400 მანეთი ბუნდოვან სურათების მაჩვენებელ ფარნების შესაძენად.

◆ გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, საწინააღმდეგო არ მაქვს-რა, თუ ქალაქის თვით-მმართველობა ექიმ ტიგრან ხარაზოვს სამკურნალოს დიდუბის განყოფილების გამგედ დანიშნავს და ექიმ იაკობ მეფისოვს კუკიის განყოფილებაშიო.

◆ ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენში ამ ჟამად 39 ყმაწვილია. რუსი—10-ია, სომეხი—14, ქართველი—10, თათარი—1. დურგლის ხელობას სწავლობს 15, მეჩექმისას 12, ხოლო ზეინკლისას 2.

◆ პირაქეთ-ხევსურეთის ოთხ სოფლის საზოგადოებას (როშკისა, ბაცალიგოსი, დუდისა და ბარისახოსის) და ფშავეთის ერთ საზოგადოებას (შუაფხოსი) განაჩენით დაუდგენიათ, ერთი მწერალი იყოლიონ, რომელსაც წლიურად 600 მანეთი უნდა აძლიონ. გარდა ამისა მწერლად ინტელიგენტი ვინმე სურთ თურმე.

ტფილისის ქალაქის საბჭო

23 თებერვალი

ქალაქის მოურავის ავადმყოფობისა გამო, ორშაბათის სხდომას თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავ-

---

წესებულებათაგან ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ საკრედიტო ამხანაგობათ, რადგან აქ საფუძვლად შრომა არის მიღებული; მათი დაარსება შეიძლება უწილისფულოდაც; წევრებად არ ჩაეწერებიან მევახშეები, როგორც ეს სხვა საკრედიტო დაწესებულებებშია, რადგან მოგება არ ნაწილდება წევრთა შორის, იგი ემატება საწარმოვო თანხას და დანიშნულია დაწესებულების მიერ აღებულ სესხის გასასტუმრებლად. საწარმოვო თანხას ასეთ ამხანაგობებს აძლევენ სესხად კერძო და სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებანი, ერობა, ქალაქი და სხვა; სამაგიეროდ ამ უკანასკნელთ მზრუნველობის უფლება ეძლევა, რევიზიას უშვრებიან დაწესებულებას და საზოგადოთ ხელმძღვანელობას უწევენ მას. ყოველი ასეთი ამხანაგობა ექვემდებარება სახელმწიფო ბანკის აგენტების საგანგებო ინსპექციას.

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ერთ-ერთი ცენტრალური დაწესებულებაა, რომელიც სხვა საკრედიტო დაწესებულებაზე უფრო დაინტერესებულია სოფელში სამეურნეო კრედიტის განვითარებაში; ამიტომ იგი, ჩვენის აზრით, უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოუჩინოს საკრედიტო ამხანაგობათა მოწყობას, რომ მათის საშუალებით განავითაროს სესხის გაცემა სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს შემდეგში: უნდა გაეცნოს ხალხი საკრედიტო ამხანაგობათა პრინციპებს სოფელში საუბრების გამართვით, გავრცელდეს ქართულად ნათარგმნი წესდება საკრედიტო ამხანაგობათა და, რაც ყველაზე უმთავრესია, საწარმოვო კაპიტალი მიეცეს სესხად დაარსებულ ამხანაგობას. 1895 წლის დებულების თანახმად, ჩვენი სამეურნეო ბანკი დაინიშნება ასეთ ამხანაგობათა მზრუნველად, უფლება ექნება პერიოდულად მიიღოს ცნობები საქმის წარმოების შესახებ, რევიზია გაუკეთოს, როცა კი მოისურვებს, მონაწილეობა მიიღოს იმ რევიზიაში, რომელსაც მთავრობა ახდენს ხოლმე, ამხანაგობათ ჩვენი ბანკის სახელწოდება ექნება და სხვა.

სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ სესხის გაცემის ასეთი სუსტი განვითარება ჩვენი ბანკის მხრივ პირველად ყოვლისა იმით აიხსნება, რომ წესდების ძალით სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების ადგილობრივ ღირებულობის 50 პროცენტს და ყოველ შემთხვევაში ვერ გადასცდება გირაოს პატრონის კრედიტის რაოდენობას. არა ნაკლებ აფერხებს საქმეს სესხის დაბრუნების ვადის სიმოკლე (9 თვე). სხვა საკრედიტო დაწესებულებანი იძლევიან ნაწარმოების ღირებულობის ორ მესამედზე მეტს და ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ რამდენია გირაოს პატრონის კრედიტი; სესხის ვადაც უფრო გრძელია. გარდა ამისა საქმეს ხელს უშლის ბანკის გამგეობის გადაჭარბებული სიფრთხილე; რადგან გამგეობას არ ჰყავს ადგილობრივ შესაფერი აგენტები, მას არ შეუძლია იცოდეს, თუ ვინ რამდენად არის სანდო, და ვერც გაცემულ სესხის წესიერ დაბრუნებას უგდებს ყურს. თითქმის ყველა იმ პირებს, რომელნიც სარგებლობენ ჩვენის ბანკის კრედიტით სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ, იმდენი პირადი კრედიტი აქვთ, რომ ტფილისის ყოველი საკრედიტო დაწესებულება უგირაოთ მისცემს სესხს.

ყველა ზემო ნათქვამიდან, ჩვენის აზრით, ის გამოდის, რომ სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ სესხის გაცემის განვითარებისათვის აუცილებელია —1. აღიძრას შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე ტფილისის სამეურნეო ბანკის 34 მუხლის შეცვლის შესახებ ისე, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენია დამგირავებლის კრედიტი, სესხის რაოდენობა უდრიდეს დასაგირავებელ ნაწარმოების ღირებულობის ორ-მესამედს; 2. აღიძრას შუამდგომლობა აგრეთვე სესხის გაცემის ვადის გადიდების შესახებ იმ სახით, რომ ცხრა თვის შემდეგ შესაძლებელი იქმნას ნაწილ-ნაწილ გადახდა სესხისა; 3. დახმარება გაეწიოს გუბერნიაში საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებას ზემოთ აღნიშნული ღონისძიებათა მიღებით: გადაითარგმნოს ქართულად საკრედიტო ამხანაგობათა წესდება და გაეგზავნოს ბანკას წევრებს სახლში გასავრცელებლად; ჯერ-ჯერობით უფრო ცენტრალურ ადგილებში უნდა დაარსდეს საკრედიტო ამხანაგობანი; 4. საწარმოვო, დასატრიალებელი თანხა რომ ვუშოვოთ ასეთ ამხანაგობებს, უნდა დაარსდეს საგანგებო ფონდი; ამ ფონდის დასაარსებლად გამოვითხოვოთ ოთხ-პროცენტიანი სესხი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სამეურნეო კაპიტალიდან, ვიშუამდგომლოთ მოგვეცეს საჭირო თანხა ტფილისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო თანხიდან, რომელიც ეხლა 1.340.506 მანეთს უდრის. სულ ბოლოს, საჭირო ფულის შოვნა შეიძლება სახელმწიფო ბანკიდანაც, თანახმად 1895 წლის დებულებისა; 5. მიეცეს სესხი სამეურნეო ნაწარმოებია გირაოს ქვეშ არსებულ შემნახველ-გამსესხებელ და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ, და ასეთი ოპერაციები განვითარდეს ამ ამხანაგობათა და ადგილობრივ აგენტების საშუალებით.

ეს ახალი და რთული ოპერაცია თხოულობს მუდმივ წასვლა-წამოსვლასა და ადგილობრივ დაწესებულებებთან ახლო დამოკიდებულების დაკავშირებას; ამიტომ იგი უნდა გამოიყოს ბანკის [illegible] ოპერაციებიდან და მიენდოს გამგეობის ერთ-ერთ წევრს ან საგანგებო პირს. ეს პირი უსათუოდ დირექტორი უნდა იქმნას, რადგან მას უფლებაც აქვს და პასუხის მგებელიც არის.

ი. ქუთათელაძე.

მჯდომარეობით მოხდა. განხილულ საქმეთა შორის აღსანიშნავია ორი საგანი: გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში მოსამსახურეთ ორი პროცენტი მიეცეთ იმ ფულიდან, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე დაეხარჯება ქალაქს მოულოდნელადაო, და მეორეც—ხმოსნის ნ. ი. თამამშევის განცხადება შესახებ იმისა, რომ გამგეობის სხდომებზე ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთაც შეეძლოთ დასწრებაო.

პირველის მოხსენებით აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ 1889 წელში საფინანსოსა და საამშენებლო კომისიებს ერთად ჰქონიათ ამ საგანზე სჯა და ამათი დადგენილება 1890 წლის 10 სექტემბერს საბჭოს განუხილავს და დაუდგენია: ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში მოსამსახურეთ მიეცეთ ზემოდ ამისა თქმული ორი პროცენტი. მას აქეთ ეს დადგენილება სისრულეში არ მოუყვანია გამგეობას და ამ ორ პროცენტებიდან შეგროვილა 5.868 მანეთი და ორი აბაზი. ამ ფულიდან სხვა-და-სხვა დროს ზოგ მოსამსახურისათვის საჩუქრად მიუცია გამგეობას (საბჭოს თანხმობით, რასაკვირველია,) 1.884 მან. 52 კაპ., ასე რომ დღეს ნაღდადაა შენახული 3.586 მან., 88 კაპ.

გამგეობა სთხოვდა საბჭოს: რადგან ძნელია, ყოველთვის საბჭოს წარმოვუდგინოთ დასამტკიცებლად იმათი სია, ვისაც ორ-პროცენტიანი ჯილდო ერგება, ამისათვის გთხოვთ ერთხელვე ნება დაგვრთოთ, ჩვენვე გავანაწილოთ ეს ჯილდო იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი შრომა დაუდევს ამა თუ იმ საქმისათვისაო.

საბჭომ საჭიროდ დაინახა, ეს საგანი ჯერ საფინანსო კომისიამ განიხილოსო.

ნ. ი. თამამშევის განცხადება უნდა ახსოვდეთ ჩვენს მკითხველებს, რადგან ამ ორი თვის წინად აღნიშნული გვქონდა იგი ჩვენს გაზეთში. ბ-ნი თამამშევი აცხადებდა: ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა დასწრება გამგეობისა და საბჭოს სხვა-და-სხვა კომისიათა სხდომაზე დიდად ხელს შეუწყობს ქალაქის საქმეების ვითარებასა და ამათის სინამდვილით აღნიშნვას ბეჭდვით სიტყვაშიო, ამისათვის ვითხოვ, საბჭომ დაადგინოს და გამგეობისათვის სავალდებულოდ გაჰხადოს ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა თავის სხდომებზე მიწვევაო.

ორშაბათის კრებას თვითონ ბ-ნი თამამშევი არ დასწრებია; განცხადება გამოეგზავნა ქალაქის მოურავისათვის, ავადმყოფობისა გამო, დღევანდელს კრებას ვერ დავესწრები და ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვისათვის მიმინდვია საბჭოს წინაშე ჩემი განცხადების განმარტებაო.

გამგეობამ უარ-ჰყო ბ-ნ თამამშევის წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ხშირად შეუძლებელია გარეშე კაცის დასწრება ზოგ საქმეთა განხილვის დროსაო; ზოგ კანონთა განმარტებითაც ამტკიცებდა გამგეობა, რომ გარეშე პირთა დასწრება გამგეობის სხდომის დროს კანონის წინააღმდეგობა იქმნებაო.

ცხარე კამათი გამოიწვია ამ საგანმა. მოკამათე ხმოსნები არც ერთი არ აცხადებდა ამ წინადების წინააღმდეგობას პრინციპიალურად, მაგრამ ზოგი მათგანი (თავ. ჩერქეზიშვილი, მელიქ-კარაკოზოვი, სვეშნიკოვი) პირდაპირ აცხადებდნენ: გაზეთია და გაზეთიო. ზოგი მათგანი ისეთია, იმის ხელში აღებაც-კი გეზიზღება კაცს და როგორ გნებავთ ამისთანა გაზეთის წარმომადგენელი მამგეობის კრებაზე დავისწროთო. ხმოსნები თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, გ. მ. თუმანოვი და ა. ზ. ჩოლოყაშვილი საჭიროთა და სასარგებლოდ აცხადებდნენ ბ-ნ თამამშევის წინადადების სრულად განხორციელებას.

ბოლოს თავმჯდომარემ შემდეგი საკითხი დააყენა: ვის გნებავთ გამგეობისათვის სავალდებულო გაჰხადოთ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა მოწვევა სხდომებზედაო. საბჭომ უარჰყო ეს. შემდეგ მეორე ნაირი საკითხი დააყენა თავმჯდომარემ—ვის გნებავთ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი გამგეობისა და საჭის კომისიების იმ სხდომებს დაესწრნენ, როდესაც ამას საჭიროდ სცნობს თვით ქალაქის მოურავი და კომისიების თავმჯდომარენიო.

თითქმის ერთხმად მიიღო საბჭომ ეს წინადადება და კრება ნაშუაღამევს დაიშალა.

რუსეთის ქრონიკა

◆ კიევის გუბერნატორის ბრძანებისამებრ, როგორც „კიევის გაზეთი“ გადმოგვცემს, კიევის პოლიციმეისტერმა გამოაცხადა: ქალაქში ცხოვრების ნება ეძლევათ ომში გაგზავნილ ებრაელ ექიმებისა და ფერშალთა იმ ოჯახებს, რომელნიც აქამდისაც კიევში ცხოვრობდნენ. ამ ოჯახებს ქალაქში ცხოვრების უფლება აქვთ მხოლოდ ომში გაწვეულთა დაბრუნებამდე. კიევში ცხოვრების უფლება მიეცა ექიმების მოსამსახურე ებრაელთ, თუ იმათ, რასაკვირველია, გუბერნიის უფროსისგან ქალაქში ცხოვრების უფლება—შესაფერი ბილეთი ექნებათ. ამავე დროს პოლიციას დაევალა, თვალ-ყური ადევნოს, ზემოხსენებულ ექიმებისა და ფერშლების დე[illegible] სხვა ნათესავებმა, რომელნიც [illegible] ცხოვრობენ, არ იცხოვრონ [illegible]იის უფროსის ნება დაურთველ[illegible]

◆ ამა წლის [illegible]ან 8 თებერვლამდე, ე. ი. ო[illegible] განმავლობაში ვარშავის კერძო ბანკებისა და ვარშაველ მრეწველთა კასებიდან კერძო პირებმა უკანავე გამოიტანეს 3.238.779 მანეთი („ტორ. გაზ.“).

◆ მოგილიოვის გუბერნიიდან უკანასკნელ დროს მრავალი ებრაელი სახლდება ამერიკაში. ზოგი მათგანი, ღარიბი, დანიშნულს ადგილს ველარ აღწევს და ისევ უკანვე ბრუნდება.

◆ სარატოვის საგუბერნიო საერობო კრებამ, როგორც „რუსკ. ვედ ომ.“-ში ვკითხულობთ, გაარჩია ცენზის შესახებ საკითხი და დაადგინა: „ღრმად დავრწმუნდით, რომ საერობო დებულების განზრახულ ყველა ცვლილებას საერობო საქმის განვითარებაზე მხოლოდ მაშინ ექმნება კეთილი გავლენა და შედეგი, თუ მთავრობა ერობას სრულის ნდობით მოეპყრობა და იმის შრომას, ცოდნასა და უფლებას მომავალში აღარ შეავიწროვებს.“

◆ მოსკოვის ვაჭრებმა ჩრდილოეთ ამერიკის შტატების კონსულს გამოუცხადეს, თუ თქვენის სახელმწიფოს საზოგადოებრივი აზრი რუსეთს შემდეგშიაც მტრულად მოეპყრობა, მოსკოვი თქვენს სახლმწიფოსთან ვაჭრობას შეამცირებსო. („დონ. რეჩი“)

◆ ოფიციალურის ცნობებით, ეხლა რუსეთში ცხოვრობს 5.189.401 ებრაელი.

◆ ომის საჭიროებისათვის ყაზანის საგუბერნიო ერობამ შესწირა 500.000 მანეთი; ეს ფული თავისუფალ თანხიდან გადაიდება; ამ თანხის შესავსებად ერობა მიწის გადასახადს მოუმატებს; 10 წლის შემდეგ თანხა შევსებული იქნება. („ნოვოსტი“).

სასამართლო

მუშების საქმე

გუშინ, 24 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სახელოსნოების მუშებისა ივანე მანჯგალაძისა, ალექსანდრე კახაძისა, მიხეილ ბოტყოელისა, სელივან და პავლე სტურუასი, სტეფანე ბანდარენკოსა, ტიდო ნორაკისა, ვასილ სანაყოევისა და ივანე ფედორენკოსი. ამათ ჰპრალდებოდათ წინასწარ განზრახვით 1903 წელს, 16 იანვარს, ტფილისში ბათუმის ქუჩაზე, უწესოების მოხდენა და ყაზახთათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამას წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და აღნიშნულ ბრალდებულთაგან დამნაშავედ იცნო ივანე მანჯგალაძე, ალექსანდრე კახაძე, მიხეილ ბოტყოველი და გადაუწყვიტა პირველ ორს—ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და თითო წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო ბოტყოველს, უფლებათა ჩამოურთმევლად 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. დანარჩენი ბრალდებულნი ოლქის სასამართლომ გაამართლა. ბრალდებულთ საქმე გადაიტანეს სამოსამართლო პალატაში, სადაც ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილის თანაშემწენი თავ. ი. ბარათაშვილი, ნ. ზ. ელიავა და კ. ჯაფარიძე. სამოსამართლო პალატაში საქმის ვითარების შესახებ მოხსენებისა, ვექილებისა და ბრალმდებლის კამათის მოსმენამ გასტანა $2^1/_2$ საათამდე. პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულთაგან მანჯგალაძესა და კახაძეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალათ უფლების ჩამოურთმევლად ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრებად, ხოლო მიხეილ ბოტყოველს და სელივან და პავლე სტურუებს მიესაჯა ორ-ორის კვირით პოლიციასთან დაპატიმრება ვექილების შუამდგომლობის თანახმად, პალატამ თავდებობით გაანთავისუფლა ყველა აღნიშნული პირი. როგორც გადმოგვცეს, ბრალდებულთ საქმე სენატში გადააქვთ.

II

დღეს, 25 თებერვალს, ტფილისიდან გორს მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია. სესიის სხდომები დაიწყება სასამართლოს უფროს წევრის ბ-ნ მაიგურის თავმჯდომარეობით და გაგრძელდება 2 მარტამდე სასამართლოს განსახილველად აქვს 20 საქმეზე მეტი. სხვათა შორის, ხვალ, 26 თებერვალს, განსახილველად დანიშნულია საქმე გორის მაზრის მცხოვრების დიასამიძისა, რომელსაც ბორჯომის მამულში სამინისტრო სკოლის მასწავლებლის ტკაჩოვის მოკვლა ჰბრალდება. დიასამიძეს დაიცავს ნაფიც-ვექილის თანაშემწე თავ. ი. ბარათაშვილი.

III

ხვალ, 26 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ირაკლი კანდელაკისა და ნესტორ მარჩელაშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ, პავლე გომირელისა, მოხელესათვის შეურაცხყოფის მიყენება ჰბრალდება, ბესარიონ გულაბიანისა და სხვათა.

დაბა-სოფლები

დ. ჩხარი (იმერეთი). ცხრამეტ თებერვალს მოვიდნენ მაზრის უფროსის თანაშემწე ტატიშვილი და მომრიგებელი შუამავალი წერეთელი. იმავე დღისათვის დაბარებული იყო მთელი ჩხარის საზოგადოების თავად-აზნაურობა და გლეხობა. მაზრის უფროსის თანაშემწემ გამოაცხადა საყოველთაოდ, რომ პირველ მარტიდან მოსპობილ უნდა იქმნას ყოველგვარ იარაღის ტარება. ვინც ამას წინააღმდეგობას გაუწევს, დასჯილ იქმნებაო. შემდეგ გლეხები შეუდგნენ ამ სოფლის საზოგადოების მამასახლისის არჩევას. საზოგადოება ოთხ დასად გაიყო, ყველამ თავის კანდიდატი დაასახელა, მაგრამ დიდი ნაწილი საზოგადოებისა ძველ მამასახლისის გრიგოლ ფანჩულიძის მხარეს იყო. შემდეგ დანარჩენნი შეერთდნენ და თავიანთ კანდიდატად დავით ჭანტურიძე დაასახელეს. იყო დიდხანს არეულობა ხალხში. ბოლოს არჩეულ იქმნა დავით ჭანტურიძე.

არტემ ფიფინაშვილი.

სოფ. მიქარწმინდა (რაჭა). 5 თებერვალს მიქარწმინდის ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის ხელმძღვანელებმა გამართეს ადგილობრივ სკოლის მოსწავლეთათვის სალიტერატურო საღამო. ამ საღამოზე დიდ ძალი ხალხიც მიიწვიეს. საღამო 100—180 მაყურებლის თანადასწრებით დაიწყო ნაშუადღევის ხუთ საათზე. თავდაპირველად ხელმძღვანელებმა წაუკითხეს დამსწრეთ სცენები და ზღაპრები, შემდეგ თვით მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართულად ლექსები და იგავ-არაკები. გალობდა ამავე სკოლის ხორო, როგორც ქართულს, ისე რუსულ სამღერებს ვლადიმერ სოხაძის ლოტბარობით. ამას მოჰყვა მოსწავლეების ცეკვა. სულ ბოლოს ხელმძღვანელებმა დაურიგეს მოსწავლეებს მცირეოდენი საჩუქრები. საღამოს გათავების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურემ სიმონ ქელიძემ იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ საღამოს. საღამომ საზოგადოდ გვარიანად ჩაიარა. ეტყობოდათ მეთაურებს ეშრომნათ; სცენა მშვენივრად მოერთოთ, აგრეთვე ბავშვები ისე მოემზადებინათ, რომ კოჭლობა არ ეტყობოდათ ლექსების კითხვაში.

მოიდანახელი.

სოფ. კაიშაური (მთიულეთი). შარშან ზაფხულს ეს სოფელი დაათვალიერა სამაზრო ზედამხედველმა საეკლესიო სკოლებისა, მამა ნიკიფორე კანდელაკმა და სთხოვა სოფელს, აეშენებინა სკოლა, რომ მათ შვილებს წერა-კითხვა მაინც ესწავლათ. სოფელი დიდი სიამოვნებით მიეგება ამ კეთილ განზრახვას და სკოლა უკვე ააგეს. ახალი სკოლა აკურთხეს 16 თებერვალს მრავალის ხალხის თანადასწრებით. კურთხევის შემდეგ ადგილობრივმა მღვდელმა, მამა კაიშაურმა წარმოსთქვა სიტყვა. მასწავლებლად დანიშნული გიორგი მალანია, სწავლებას კიდეც შეუდგა.

გორელი.

ბარის ოსეთი. გაისმა თუ-არა ხმა ბარის ოსებში რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისა, საკვირველის ხალისით დაიწყო მოძრაობა ოსების ახალგაზრდობამ და სთხოვა თერგის ოლქის უფროსს: „გვიშუამდგომლეთ, ნება მოგვცენ, თავისუფალ მეომართა რაზმი შევადგინოთ და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მივიღოთო“. ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ სოფელ ნებითი-ქრისტიანიდან 300 კაცი იკრიბება, არდონიდან 100 კაცი, ხუმელაგიდან 100 კაცი, გიზელიდან 100 კაცი და ასევე სხვა სოფლებიდან. კავკავის სატუსაღოდანაც კი რამდენიმე ოსმა თხოვნა მიართვა ოლქის უფროსს: „გთხოვთ, ნება მოგვცეთ ომში წავიდეთ იაპონიის წინააღმდეგაო“. როგორც შევიტყვეთ, ქისტებიც აპირებენ თავისუფალ მეომართა რაზმის შედგენას იაპონიის წინააღმდეგ. ბარის ოსეთში ამჟამად მშვენიერი ამინდებია. ზამთარი ზამთარს არა ჰგავს, მინდვრები აქა-იქ ამწვანდნენ. გროზნა-ყიზლარის მხრებიდან მოსულ მეცხვარეებს ძლიერ კარგი ამბები მოაქვთ. ცხვარი მშვენივრათ იკვებება, თითქმის თივა არც-კი დასჭირებია წელს ზამთარსაო.

ქართველი ოსებში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 თებერვალი

სტამბოლი. ელჩების მიერ წარდგენილ ნოტაზე მაკედონიის ჟანდარმერიის გადაკეთების შესახებ პორტამ ელჩებს პასუხი გასცა და წარუდგინა რამდენიმე ისეთი წინადადება, რომლის მიღება შეუძლებელია. პორტა, სხვათა შორის, საბუთად ასახელებს, ჟანდარმერია უკვე გადააკეთეს ბელგიისა და შვეიციიდან მოწვეულმა ოფიცრებმაო. 22 თებერვალს ავსტრიისა და რუსეთის ელჩებმა პორტას კიდევ ერთი ნოტა წარუდგინეს და მტკიცედ თხოულობენ მათ მიერ შემუშავებულ პროექტის მიღებას.

განჯა. 20 თებერვალს სადგურ ალიკენტში გზას გადასცდა საქონლის მატარებელი № 193; დაიმტვრა სამი ნავთის ქვაბი და დაზიანდა 7; ხალხს არაფერი დაჰმართვია.

22 თებერვალი

პეტერბურგი. პოდოლის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, ვოლჟინს სედლეცის გუბერნატორის მოადგილედ ყოფნა ებრძანა.

ადენი („რეიტ. სააგ.“). პოლიტიკურ აგენტის თანაშემწე, კაპიტანი ვარნფორდი არაბებმა მოჰკლეს.

პარიჟი. პალატა არჩევდა კანონ-პროექტს შესახებ იმისა, კონგრეგაციების წევრებს სწავლების უფლება წაერთვათო. კომბმა განაცხადა, კონგრეგაციები და ეხლანდელი საზოგადოება ერთად ვერ მოთავსდებიანო. კონგრეგაციების მოსპობისთანავე ეხლანდელი ინტრიგებიც მოისპობაო. კანონ-პროექტით თხოულობენ 67 მ ლიონ ფრანკს ახალ სკოლებისთვის.

პარიჟი. საკასაციო სასამართლოს სისხლის განყოფილების პალატამ დრეიფუსის საქმის გარჩევა დაიწყო. ჩვენება ჩამოართვეს კაპიტანს ტარჟს, რომელიც სამხედრო მინისტრის ანდრეს დანიშნულებით გამოძიებას აწარმოებს. ჩვენებას ართმევენ ხალხის დაუსწრებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დილის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

«ცნობის ფურცლის»

კანტორის განყოფილება

ქუთაისში

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „**კოლხიდა**“-სთან (ბალახვანის ქუჩა, საკუთარი სადგომი) მიიღება ხელის-მოწერა გაზ. „ცნ. ფურც.“-სა და ჟურნალ „მოამბე“-ზე.

აქვე მიიღება საჩივრები ქუთაისის ხელის-მომწერთაგან ჟურნალისა ან გაზეთის მიუსვლელობაზე და სხვ.

ხელის-მოწერა მიიღება აგრეთვე ბ-ნ ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და „წიგნ. გამომც. ქუთ. ამხანაგობის“ კიოსკში.

ქუთაისის ხელის-მომწერთ, რომელნიც პირდაპირ რედაქციისაგან (ტფილისიდან) დაიკვეთენ გაზეთს, ვთხოვთ შეგვატყობინონ **სრული** თავისი ადრესი (ქუჩა, სახლის პატრონის გვარი ან სახლის №).

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

Дозв. ценз. Тифлисъ 24 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.